რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა.

**წლიური ფასი ექვსი მანათი.**

სასწავლებელი და პანსიონი
ა. ტერ-ავეთიქოვისა.
იყვანს მოწაფეებს სახლიდგან მოსიარულეებს და პანსიონერებსაც. ამზადებს მეხუთე კლასამდე შესასვლელად გიმნაზიებს, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა და სხვა სასწავლებლებში მისაღებად. ქართველებს ქართულსაც ასწავლიან. მოწაფენი მიიღებიან 6 წლისა და მეტისა. ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11. (13—7)



პანცერი და გლუხოვსკი
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).
ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი
საკერავი მანქანებისა
ნამდვილის ზინგერ-ნაუმანის და სხვა გამოჩენილ სისტემის მანქანები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—4).

### რედაქციისაგან

დღე ყოველ მოგვდის თხოვნა ახალ ხელის-მომწერთაგან, ძველი ნომრები გამოგვიგზავნეთო, ბევრი გვთხოვს პირველი ნომრიდგან გვინდა გაზეთიო. რადგანაც სათითაოდ წერილის მიწერა ყველასთან მეტად ძნელია, ამიტომ ვაცხადებთ, რომ 25 ნომრამდე გაზეთი სულ გავიდა და რედაქციას აღარ მოეპოვება. ახალი ხელის მომწერნი მხოლოდ 25 ნომრიდგან მიიღებენ გაზეთს. ხოლო ვისაც ამ ნომერს შემდეგ შიგა და შიგ თითო-ოროლა ნომერი დაჰკლებია, ფოსტის თუ ჩვენის ბრალით, ვთხოვთ შეგვატყობინონ და დაკლებული ნომრები დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

### ქართული თეატრი

კვირას, 24 ნოემბერს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

**ურიელ-აკოსტა**

ტრ. 5 მოქმედ. თარგ. ბაქრაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ივანიძე, კუნდელი, ბბ ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

კბილის ექიმი
ვ. ი. პიპინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ განიზრახა მუდმივი ქართული ხოროს დაარსება, რისთვისაც უკვე მოწვეული ჰყავს ამ საქმეში კარგად დახელოვნებული პირი. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ხსენებულს ხოროში, მობძანდეს ხმის გასასინჯად „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ორშაბათობით და ხუთშაბათობით, საღამოს 5—7 საათზედ.

По случаю продается
ДОРОЖНАЯ КОЛЯСКА
(*малоподержанная*)
Полковника Ратіева
Видѣть можно у Котрини.
О цѣнѣ спросить Двор. банкѣ Ратіева
შემთხვევით იყიდება
საგზაო ეტლი
პოლკოვნიკის რატიევისა
მსურველთ მიმართონ კოტრინის, ანუ სააზნაურო ბანკში ი. რატიშვილს. (5—2)

ПОРТНОЙ ТЕР-АКОПОВЪ
ПЕРЕШЕЛЪ
НА ГАНОВСКУЮ УЛИЦУ,
рядомъ съ конторою нотаріуса Мамиконова
ПРІЕМЪ ЗАКАЗОВЪ
Сивильныхъ и военныхъ костюмовъ. Магазинъ имѣетъ большой выборъ англійскихъ, французскихъ и русскихъ матерій.
Заказы исполняются быстро, аккуратно и за умѣренную цѣну. (2—2)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სი-

ფილისს—П. А. ВАРШАВСКИ.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
მკურნალობის დირექტორი ხ. შ. თოფურია.
(წ.)

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

22 ნოემბერი.

**ბერლინი.** ლეკკერტის და ლიუცოვის საქმე. ვექილის კითხვაზედ, თუ ვინ იმალება ლეკკერტის სახელ ქვეშ, ტაუშმა დაასახელა კონსული შტეტინში რენე. პოდპოლკოვნიკმა გედემ, მოწამემ, აჩვენა, რომ „მიუნხენის გაზეთის“ წერილთან, რომელიც შეეხებოდა სამხედრო სასამართლოსა და მთავრობას, მინისტრად ყოფილს ბრონზარს არავითარი კავშირი არა აქვს. ტაუშმა წარადგინა 50 მარკის ბათილამა, საიდამაც სჩანს, რომ ჟურნალისტს კუკუჩს აუღია ეს ფული ლიუცოვისაგან იმ პირობით, რომ კვლავ დაბეჭდონ ახალი ცნობები „მიუნხენის გაზეთში“ შესახებ დეპეშისა. კუკუჩმა განაცხადა: ეს ამბავი მოგონილია, მე არავისგან 50 მარკა არ მიმიღია და ეგ ბათილამაც ყალბია. ამ განცხადებამ სენსაცია მოახდინა. ლიუცოვმა კვლავ გაიმეორა თავისი ჩვენება, რომ ბათილამა ნამდვილია და კუკუჩი სტყუის; უკანასკნელი ფიც ქვეშ იმეორებს თავის ჩვენებას. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კუკუჩას ჩვენება ფიც-ქვეშ ექვს არ ჰბადავს თავისს სიმართლეში, ამიტომ ლიუცევს ბრალდება ახალი დანაშაული—ყალბი საბუთის შედგენა.

## დაგვიანებული დეპეშა

**ბერლინი.** ლაკერტის პროცესი. სტატს-სეკრეტარმა მარშალმა სთქვა სასამართლოში, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო არაოდეს არ იხსენიებდა ცუდად ეხლანდელსა ან უწინდელს მინისტრებსა და სახელმწიფო მოხელეებს. სამინისტრო, რა თქმა უნდა, პასუხს არ აგებს გაზეთების მაგიერად, რომლებიც მის საქმეში ერევიან; გაზეთებთან კავშირი აუცილებელი უბედურებაა. ამ კავშირის უფრო მეტად შემცირება, ან სრულიად მოსპობა, ძლიერ ძნელია, ისე, რომ სახელმწიფო ინტერესებს არა ევნოს რა. ლეგაცინორატმა გამონმა სთქვა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ჟურნალ-გაზეთები არასოდეს არა სწერენ პრუსიის შინაგან საქმეებზედ; ხოლო იმპერიის საქმეებზედ სწერენ მაშინ, როდესაც თვით კანცლერი ბრძანებს; ამ შემთხვევაშიკი კანცლერს არა უთქვამს-რა. პრინცმა ჰოგენლოემ და გალმტენმა ერთხმად აღიარეს: ლეკერტი თვალით არ გვინახავსო.

იმპერიის კანცლერსა და პრინცს ჰოგენლოესაც ჩვენება ჩამოართვეს, როგორც მოწმეს.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა გაათავა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ლიპკნეხტმა მეტად მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა, ისე რომ რამდენჯერმე გააჩუმეს კიდეც. მან, სხვათა შორის, სთქვა, ჩვენ გვემუქრებიან, რომ თუ ფლოტისთვის ხარჯი არ მივიღეთ, რეიხსტაგი დათხოვნილ იქმნებაო; ამის მიზეზი ერთი განმეა, რომლის შესახებაც არავინ იცის, რას იზამს იგი ხვალ, ან ზეგ. სტატს-სეკრეტარმა ბეტიხერმა სთქვა, რომ მთავრობაში ცვლილების მოხდენა საფიქრებელიც არ არისო; ხოლო რეიხსტაგის დათხოვნაზედ ხმაც არავის არ ამოუღია.

**რომი.** მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო ზანზიბარის ელჩისაგან. ელჩის ჩეკკის ქარავანი, მდინარე ვობიშებელის გამოსაკვლევად გაგზავნილი, სოფელში დაბინავდა; ქარავანში იყვნენ: გემების უფროსები, დამოჟნის დირექტორი, 7 აფიცერი, 6 უნტერ-აფიცერი და 70 ჯარის კაცი. ღამე სამოლიები დაეცნენ და ორთავე მხრიდგან რამდენიმე კაცი მოიკლა. მეორე დღეს ისევ დაიწყო ბრძოლა. იტალიის კომისარმა გაგზავნა ჯარი, რომელმაც იპოვნა 14 გვამი ევროპიელებისა.

**რომი.** პალატა. მინისტრმა სთქვა, ჩეკკი მთავრობამ ელბენადირში გაგზავნა და არ მესმის, რად წასულა მდინარე ვობიშებლისაკენო. მთავრობა და პალატა დიდათა სწუხან, რომ ამ ორის მამაცის კაცის სიკვდილის გამო დამნაშავენი სასტიკად იქმნებიან დასჯილნი. რუდინიმ სთქვა, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავ ელბენადირის ნაპირების დაპყრობისაო.

**უსკუბი.** საბერძნეთის კანდიდატის დანიშვნამ მიტროპოლიტად მრავალი უწესოება გამოიწვია. მიტროპოლიტის მეთოდის დასაფლავების შემდეგ ხალხი ახალს მიტროპოლიტს ამბროსის არ უშვებს სამიტროპოლიტო სახლში.

**კაირი.** ლორდმა კრომერმა შეატყობინა ეგვიპტის მთავრობას, რომ თუ მთავრობა სასამართლოს განაჩენს დაამტკიცებს 500,000 მანათის გადახდაზე, პასუხი უნდა აგოს ეგვიპტეს მთავრობამ. ინგლისი მზათ არის ფული ასესხოს ეგვიპტეს მთავრობას, რადგანაც იმას ამ ჟამად ამ ფულის გადახდა არ შეუძლიან.

---

# ახალი ამბავი

*** **ტფილისის გუბერნატორი** კამერგერი თავ. გ. დ—ძე შარვაშიძე, დღეს ნაშუადღევის ორ საათზე, ბორჯომს და ხვალ იქიდგან აბასთუმანს გაემგზავრებ.

*** **ტფილისის მოქალაქეთა დეპუტაცია.** ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა დეპუტატებად ტფილისის მოქალაქეთაგან გრიგორი ნახშუმოვი და გიორგი ოქროპირისძე, რომელნიც სამშაბათს გაემგზავრებიან პეტერბურგს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა მისალოცად კურთხევისა გამო. დეპუტაციების მიღება პეტერბურგში დეკემბრის 6 და 12-ს რიცხვს შუა არის დანიშნული. მოქალაქეთაგან დეპუტატებს მიაქვთ მშვენიერი ვერცხლის ვაზა, რომელსაც მიართმევენ პურ-მარილით ხელმწიფე იმპერატორს.

*** **შემნახველი კასსა.** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას განუზრახავს ნავთლუღს ფოსტის განყოფილებაში გამართოს სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასის განყოფილება.

*** **საკუთარი სახლი ქალთა საექიმო ინსტიტუტისა.** პეტერბურგში შესდგა განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს ააშენოს საკუთარი სახლი ქალთა საექიმო ინსტიტუტისათვის. კომიტეტმა მიჰმართა სხვა და-სხვა საერო და სამოქალაქო დაწესებულებათა, რომ შემწეობა რამ აღმოუჩინონ მას ამ საქმეში. ასეთი თხოვნა კომიტეტმა გამოუგზავნა აგრეთვე ტფილისის ქალაქის თავის მოადგილეს, რომ მან იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე და რამოდენიმე ფული გადასდოს ამ ჩინებულ აზრის აღსასრულებლად. ქალაქის თავის მოადგილემ ხსენებული თხოვნა გარდასცა სამოსწავლო კომისიას, რომ ამან განიხილოს და თავის მხრივ აღნიშნოს რიოდენობა დახმარებისა. სამოსწავლო კომისიის შეხედულობას შემდეგ გამოიკვლევს საფინანსო კომისია და ბოლოს თხოვნა წარედგინება საბჭოს. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისის თვითმმართველობა, თავის მხრივ, არ დაზოგავს შეძლებისამებრ გაუმართოს ხელი კომიტეტს.

*** **საფრანგეთის ცნობილი მეცნიერი შანტრი** ამ ცოტას ხანში, თურმე, ტფილისს ჩამოვა და აქედან სპარსეთს გაემგზავრება სამეცნიერო გამოკვლევისათვის.

*** **ქართული საღამო ბაქოში,** როგორც იმის ჩვეულებრივად დანიშნულია 23 იანვრისთვის, გამართულ იქნება, ეგრედ წოდებული „ბაზარი“. საღამოს გამგებლად იქნება მარიამ ლოლომბერიძისა. იმედია, რომ ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივის თანაგრძნობით ხელს შეუწყობს სხვადა-სხვა ნივთების შეწირულობით ამ საკეთილო საქმეს, რომელსაც არა ერთხელ მოუცია წვლილი ჩვენებურ საქველმოქმედო საზოგადოებათათვის.

*** **საქველმოქმედო წარმოდგენამ** ქუთაისში მიუხედავად იმისა, რომ საძაგელი ამინდი იყო, ჩინებულად ჩაიარა, როგორც ხელოვნების მხრივ, აგრეთვე შემოსავლითაც. თეატრის დარბაზი თითქმის სავსე იყო. წარმოდგენილ იყო ცნობილი პიესა „და ტერეზა“ (ანუ „მონასტრის ზღუდეთა შორის“), რომელშიაც ყველა როლებს ასრულებდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი და, კაცმა მართალი უნდა სთქვას, ჩინებულად შეასრულეს თავიანთი როლები, რის გულისათვის საზოგადოებამ არა ერთხელ დააჯილდოვა მოთამაშენი ტაშის კვრით და ვაშას ძახილით.

*** **წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლა.** წარსულს ზაფხულს გორის სემინარიის 12 მოწაფე მასწავლებლის ბ. პოლევსკის ხელ-მძღვანელობით გაგზავნილ იქმნენ სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში ზოგიერთ საგნების შესასწავლად და ფერმის დასათვალიერებლად. მასწავლებელს ბ. პოლევსკის შეუდგენია ანგარიში ამ 12 მოწაფის მოგზაურობისა და სემინარიის პედაგოგიურს კრებისათვის მოუხსენებია. ეხლა, როგორც შევიტყეთ, სემინარიის დირექტორი ბ. სლოვინსკი, პედაგოგიურის კრების გარდაწყვეტილების თანხმად, ულმეს მადლობას უძღვნის სკოლის მზრუნველს ბ. ილ. ივ. წინამძღვრიშვილს იმ სიკეთისათვის, რომელიც სემინარიის მოწაფეთ მიიღეს წინამძღვრიანთ სკოლაში ყოფნით;

*** **საყასბოს ღუმელი.** ამას წინად ქალაქის გამგეობამ ააშენა საყასბოზედ განსაკუთრებული ღუმელი, რომელშიაც იწვის ყოველივე ხორცეულობა ავადმყოფ საქონლისა და განსაკუთრებით ტრიხინიანი ღორის ხორცი; ეხლა საყასბოს ზედამხედველი აცნობებს გამგეობას, რომ ავადმყოფ საქონლის ხორცი იმდენია წელს, რომ ერთი ღუმელი არა კმარა და საჭიროა მეორეც გაკეთდესო.

*** **ღორის ხორცის გამოცდა.** ამ დღეებში ქალაქის წარმომადგენლებმა იყიდეს რამდენიმე ღორი და დაჰკლეს გამოსაცდელად იმისა, თუ რა უჯდებათ ყასბებს თითო გირვანქა ხორცი. გამოცდამ აჩვენა ამ წარმომადგენლებს, რომ გირვანქა ხო-

...რცი ტყავიანი ჯდება 7 კაპ., ხოლო უტყაო—8 კაპ., ამის გამო ნიხრის კომისიამ დაადგინა სთხოვოს საბჭოს, რომ ამას იქით დაარსდეს ნიხრი ღორის ხორცზედ ზემო ხსენებულ ფასების კვალობაზედ. ამ აზრს კომისიისას საბჭო განიხილავს ამ თვის 25.

*** **პურის საცხობი ამხანაგობა ქუთაისში.** გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ იყო, რომ ქუთაისის მეფურნეებმა პირობა შეკრეს, პური გააძვირეს და პირველისა და მესამე ხარისხის პურს არ აცხობენო.

დღეს წერილი მოგვივიდა ქუთაისის კორესპონდენტიდგან, რომელიც გვატყობინებს, რომ ქუთაისში არსდება ახალი ფირმა „ილია მირიანის ძე ქყონია და ამხ.“, რომელიც გამართავს საუკეთესო ფურნეს და გამოაცხობს პურს გასაყიდათ. საწევრო ფული 5 მანათია. პირველი კრება წევრთა დღეს, 21 ნოემბერს, მოხდაო.

*** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქუთაისში გამოცემული წიგნაკი: «საზოგადოება ცეცხლისაგან შენობების უზრუნველ-მყოფელი ურთიერთ შორის და მისი უპირატესობა სქცაონერულზე“. წიგნაკი შედგენილია სტ. ხუჯივანიშვილისაგან. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს კეთილი დასაწყისი საურთიერთო დაზღვევისა ქუთაისში მალე განხორციელდეს.

**გორის ხიდი.** პეტერბურგიდგან გვწერენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ 30 ათასი მანათი გადასდო გახაზინულზედ წყალდიდობით გაფუჭებულ ხიდის გასაკეთებლად და მდინარე ლიახვისა და ფშანის ნაპირების გასამაგრებლად.

*** **ჩერნომორსკის გუბერნატორის თანაშემწედ** სხვა კანდიდატთა შორის ასახელებენ პოდპოლკოვნიკს ... მ. ალიხანოვ-ავარსკის.

*** **კაჟის მუშტარი.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ სურამის რკინის გზის სადგურზე ვიღაც ახლად ჩამოსული ფრანგი, თურმე, ადგილობრივ მცხოვრებთაგან ყიდულობს კაჟს და კარგ ფასსაც იძლევა. მცხოვრებნი ძრიელ დაინტერესებულნი არიან, რა საგნისათვის ჰყიდულობს ხსენებული ფრანგი კაჟს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაუგიათ.

*** **ჟურნალი „მოამბე“.** ჩვენ მივიღეთ XI ნომერი ჟურნალ „მოამბისა“ შემდეგის შინაარსით: I. წრფელი გული,—მოთხრობა დავ. კლდიაშვილისა. II „ქარო, დაჰქრილი ლომივით“...—ლექსი შ. მღვიმელისა. III. გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი პირველი.—ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. IV ხევსურული სიმღერები.—შეკრებილი ივ. ბუქურაულის-მიერ. V. დედა.—მოთხრ. ბელოსი, თარგ. ელ. მამულაშვილისა. VI ბოლგარეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი და წამებულნი,—ისტორ. მიმოხილვა ი. დ. ივანოვიჩისა, თარგ. თ. ს—ასი (დასასრული). VII საერო განათლება ქუთაისის გუბერნიაში 1894 წ.—ი. ჩარექაშვილისა. VIII სათურქმენო ანუ კასპიის ზღვის იმიერ ქვეყანათა წარსული და აწმყო.—ხუციშვილისა (დასასრული) IX. უმამულოდ დატოვება ხიზნებისა.—წერილი ივანოვიჩისა. X. სალიტერატურო მიმოხილვა.—წ. ლ—რის საბელეტრისტო მოღვაწეობა. XI. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ანგარიშიდან. XII განცხადებანი. დამატება: XIII—საქართველოს სიძველენი.

*** **გაბაევის ქუჩის ყოვლად უგვარგისობა** დიდათ და დიდათ შესაბრალისნი არიან გაბაევის ვიწრო ქუჩის მცხოვრებნი. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ქუჩას არა აქვს გაყვანილი წყლის მილები (водосточная труба), არც არის დაგებული ქვით და არც ერთი ფარანი არ მოიპოვება, რათა ღამე შესაძლებელ იყოს უშიშრათ სიარული, რომ კაცმა ან ფეხი და ან კისერი არ მოიტეხოს. თუმცა ეს ქუჩა ზედ შესამჩნევ გოლოვინის პროსპექტსა და ოლგას ქუჩასთან მდებარეობს და შეადგენს ქალაქის შუა გულ ადგილს. ბევრჯელ იყო გამოცხადებული რუსულ და ქართულ გაზეთებში ეს ნაკლი და არა სასურველი მდგომარეობა გაბაევის ქუჩისა, რომ ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვის, ვისგანაც ჯერ არს; მაგრამ ყოველივე ჩივილი ამ ქუჩის მცხოვრებთა ამაოდ რჩება; დრო კი არის, რომ ქალაქის გამგეობამ ყურები გაიბერტყოს და ის შეასრულოს, რაც მის ზნეობრივ და კანონიერ მოვალეობას შეადგენს.

*** **თიანეთი.** ამ თვის 16-ს ერწოს ნაწილის ბოქაულმა თ. ბ—შვილმა ხევსურეთ სოფელში შეიპყრო ქ. თელავის მცხოვრები შაქრო ბოჰორიძე, რომელსაც ბრალდება თელავის საკათედრო სობოროს გაცარცვაში მონაწილეობა. ხსენებულს ბოჰორიძესთან ერთად ბოქაულმა შეიპყო თელაველივე, საეჭვო პირად ცნობილი, სანდრო ნადირაშვილი. თუმცა ხსენებულმა ნადირაშვილმა გვარი შეიცვალა, მაგრამ ზოგიერთა პირთ იცნეს იგი. აღმოჩნდა, რომ ამ რამდენსამე წლის წინად იგი გაგზავნილ ყოფილიყო ციმბირში (კაცის გაცარცვაზე) და სამი წელიწადია, თურმე, რაც ციმბირიდამ გამოპარული თავისუფლად დადიოდა და იმალებოდა. ბოჰორიძე და ნადირაშვილი თიანეთის პოლიციამ 18-ს ამ თვეს გაგზავნა თელავის მაზრის უფროსთან.

*** **დუშეთი.** დუშეთის მყუდრო მიმდინარეობა ამ დღეებში დარღვეულ იქმნა ქურდობისაგან. ამირაღოვის საბაზაზო მაღაზიაში,—პატრონის ტფილისში ყოფნის დროს გაღებულ ზანდუკიდამ აღმოჩნდა ორმოც-და ათი თუმნის მოპარვა. მაღაზია გატეხილი არ იყო და უეჭველია, ავაზაკობა უცხო კაცის საქმე არ უნდა ყოფილიყო; ამასობაში ტფილისიდამ ამოვიდა თვით მაღაზიის პატრონი. ვერც თავის ნოქრებზედ და ვერც სხვაზე მან ეჭვი ვერ მიიტანა. საკვირველება ის იყო, რომ ვერცხლ-ოქროეულობისათვის ხელი არ უხლიათ. ფული კი არსად ჩანდა. ქ. დუშეთის ბოქაულის მოადგილე საპატიმროს ზედამხედველ ბ-ნი ჯაფარიძის ენერგიულ და ოსტატურ განკარგულების წყალობით ქურდებს მიაგნეს.

ბ-ნ ჯაფარიძემ გუმანი და ეჭვი მიიტანა ნოქრებზედ, რომელნიც მყისვე დაატუსაღა. პატრონის სასიხარულოთ ნოქრები მალე გამოტყდენ, ფული, თურმე, მიწაში ჩაეფლიათ და ხელ-უხლები აღმოჩნდა. დამნაშავე ნოქრები ალექსანდრე შავერდოვი და ნიკო კაჩაიძე საპატიმროში ჩასვეს და გამოძიება სწარმოებს.

**იქიდანვე.** აქამდე სთოვდა და ყინავდა. ახლა ცოტა კარგი ამინდი დაიჭირა. აქაც, როგორც ყველგან, ზამთარს ხალხი მეტს ხარჯში შეჰყავს. ხორაგეულობამ ფასში ფრიად აიწია. აქამდე აქაურ თვით-მმართველობას მაზანდაზე ყურადღება არ მიუქცევია. ვაჭრები თითონვე სჭრიდნენ და თითონვე ჰკერავდნენ. დღეიდან უეჭველია ვაჭრების თავ-გასულობას ბოლო მოეღება. სასურველია აგრეთვე, რომ ქალაქის გამგეობამ ყაფანი რიგიანად გამართოს. ეხლანდელ ძველ ყაფანს დასახური არა აქვს, რის გამო შიგ დაწყობილი ხორაგეულობა სველდება და ფუჭდება.

## პოლიციის მატიანე

22 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ახალ გოლანდიაში, პოლიციის პირველ ნაწილში, თავი მოუწამლავს სიზრანის მცხოვრებელ-ქალს ალექსანდრა კუტვეროვისას. ქალს კარბოლის სიმჟავე დაულევია. მშობლებს მალე შეუტყვიათ და მაშინათვე მიხეილის სააავადმყოფოში წაუყვანიათ. ექიმების სიტყვით, მოწამლულის მდგომარეობა საშიში არისო. რა მიზეზით მოიწამლა ქალმა თავი ჯერ არავინ იცის.

—

23 ამა თვეს, ნაშუაღამევის 2 საათზედ ნიკოლოზის ქუჩაზედ, ხავრიევის სახლში, მირზაშვილის პანსიონიდგან მოუპარავს ვიღაც ოსს, სახელად ნიკოს, სხვა-და-სხვა ავეჯი და ტანთ-საცმელი, ღირებული 30 მანათად. ქურდს დაეძებენ.

## თეატრის მატიანე

**ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოსადგენად გუცკოვის განთქმული ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. უმთავრესს როლს ასრულებს ბ-ნი ალექსი მესხიშვილი. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ დასის ყველა არტისტები. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 27 ნოემბერს, ოთხშაბათისათვის, ჩვენი თეატრის ნიჭიერის არტისტის ვასილ აბაშიძის საბენეფისოდ.

—

**მალოროსების დასი** დაიწყებს თავის წარმოდგენებს სათავად-აზნაურო თეატრში სამშაბათს, 26 ნოემბერს; დასის გამგებლად არიან ტფილისში ცნობილი ბ.ნნი სუსლოვი და სუხოდოლსკი. უმთავრესი როლის მოთამაშეთ იქნება ეფ. ზარნიცკაია. მთელი დასი შესდგება 55 პირთაგან. პირველად წარმოადგენენ მ. კრაპივნიცკის პიესას „Ой не ходы грыцю, та на вечерница“.

—

**ოპერა.** პარასკევს, 22 ნოემბერს, წარმოადგინეს ოპერა დარგომიჟსკისა „რუსალკა“. თეატრი სავსე იყო, მაგრამ კმაყოფილნი კი ძალიან ცოტანი დარჩნენ. ოპერამ საზოგადოებაზედ შესაფერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და ყველასაგან ცნობილი და მეტად სასიამოვნო მოტივები ოპერისა მეტის-მეტად მკრთლად გაატარეს. ნატაშას როლს მღეროდა ქ-ნი ენკვისტი. ამ არტისტკას კარგად შემუშავებული ხმა აქვს და საკმაოდ დიდიც, მაგრამ ცოტა ხმელი და ურჩი, უგემური, დიქციაც არ უვარგა. ამ არტისტკას თამაშში ნატაშას როლი სრულიად მოკლებულ იყო რუსულს კილოს. კნიაზის როლს ასრულებდა ბ-ნი ლიუბანი, უხმო ტენორი, უვარგისი დიქციის და გამოთქმის პატრონი. კნიაზის როლი სრულიად წაახდინა, სიამოვნების მაგიერ მისი მოსმენა მხოლოდ უსიამოვნებაა; მშვენიერი და ცნობილი სიმღერა მეოთხე სურათისა მეტად უგემურად იმღერა. მეწისქვილეს როლს თამაშობდა ა. მალჩანოვსკი. ეს არტისტი გამოცდილი არტისტია, ხმა ლმობიერი და საკმაოდ ძლიერი აქვს, მღერის დიდის გრძნობით. მეწისქვილეს როლის სიმღერაში და თამაშობაში ზომიერება ეტყობოდა და სიგიჟის სცენები ძალიან კარგად გაატარა. კნეინას როლს მღეროდა ქ. გინკულოვისა. ამ არტისტკას ძალიან პატარა კონტრალტას ხმა აქვს და თავის როლი უფერულად იმღერა.

ახალი დეკორაციები, ამ ოპერისათვის დამზადებული, კარგები არის. მამაკაცთა ხორო უშნოთ იყო ჩაცმული და „ბოიარების“ მაგიერ უფრო ავაზაკებს მოგაგონებდნენ.

მოცეკვავე ქალებმა ლაზათიანად შეასრულეს «ალების ცეკვა».

—

26 ამ თვეს შესრულდება 60 წელიწადი მას აქეთ, რაც ს.-პეტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგში პირველად შეასრულეს ოპერა გლინკასი: „Жизнь за Царя“. რუსეთის თეატრებს განზრახვა აქვთ ეს დღე იდღესასწაულონ.

---

## სასამართლოს მატიანე.

### ბათომი.

სენაკის მცხოვრებს ტარასი ფუთკარაძეს რაღაც უცნაური სენი სჭირდა! 1895 წ. ტარასი ოდესაში იყო; მუდამ ელანდებოდა ვიღაც თათარი „ალი-ოსმანა“ და აქეზებდა საზოროტოდ. რაც უნდა დაეშავებინა ტარასის, სულ „ალი-ოსმანას“ ბრალი იყო.

— ჩემი რა ბრალია,—ამბობს ტარასი,—ეგ „ალი-ოსმანამ“ დამარიგა.

1895 წელს, მაისში, როდესაც ტარასი 21 წლისა შესრულდა და ამ გვარად მოიპოვა უფლებანი მოქალაქისა, იმავე „ალი-ოსმანმა“ დაუძახა და უთხრა:

— წამოდი ჩემთან, ტარასი, საქმე მაქვს შენთან.

ტარასი გაჰყვა.

— ჩემო ტარასი, კარგს საქმეს მოგცემ. აი, ხომ ხედავ იმ ყუთსა!

— ვხედავ, მერე რა იყო?

— აი რა: შენ იმ ყუთში უნდა ჩაწვე. მე მყავდა ამ საქმისათვის ერთი კაცი, მაგრამ ეხლა აქ არ არის მე იმას 200 მანათს ვაძლევდი ხოლმე. შენც ამდენს მოგცემ. ეხლა ყური დამიგდე. შენ ჩაწვები იმ ყუთში. მე ყუთს დავხურავ და შენ კიდევ შიგნიდან დაჰკეტავ. მერე ამ ყუთს გემს გადავცემთ და ოდესიდან ბათომში გაგგზავნით. გემსვე ჩავაბარებთ ამ ორს დიდს კალათას და ერთს ყუთს. ღამე ყუთიდგან ამოძვრები, გასტეხავ სხვის ყუთებს, რაც-კი მოგეწონება ჩვენს კალათებსა და ყუთში ჩაალაგებ და ეხლა რომ შიგ ჩვრები და ნაგავი აწყვია, სხვის ყუთებში ჩააწყობ! ხა, ხა, ხა,—დაამთავრა „ალი-ოსმანმა“,—კარგი საქმეა, არა?..

— კარგი კია, მაგრამ, მეშინიან. ბათომში ვინ გამომიხსნის ტყვეობიდგან, შენ თათარი ხარ, ვერ გენდობი.

— აჰა, ჩემო ტარასი, სამი მანათი. წადი, იქეიფე, კარგად მოიფიქრე ეს საქმე და მერე მოდი.

იმავე სახლში, სადაც ტარასი იდგა, ერთი იმერელი სცხოვრებდა, ანტონ მელქაძე. ტარასიმ უთხრა:

— ყური დამიგდე, ანტონ, «ალი-ოსმანა» მეუბნება, ასეო და ასეო, ყუთში ჩაძვერიო. მე კი ვარ თანხმა, მარა, თანთარია და რავა ვენდობი. ერთს გეტყვი მე შენ, წამოდი ბათომში, წამეიტანე ბალაჟის კვიტანცია და რომ მივალთ, ქე დამიხსენი პარახოტიდგან. მიხვდი?

ანტონა დათანხმდა, «ნამეტანი კაი შტუკაა» მაგიო!

მეორე დღეს ტარასი „ალი-ოსმანასთან“ მივიდა საცდელადა, ჩაწვა ყუთში და სამს საათს შიგ იყო.

— ტარასი,—ჰკითხა „ალი-ოსმანამ“,—ხომ არ დაიხრჩე?

— აჰ, ცოცხალი ვარ და ძალიან კარგათაც ვარ.

— წახვალ ბათომში?

— კი.

— აბა ქე იყავი შიდ, უთხრა „ალი-ოსმანამ“ და ჩაუწყო ყუთში: გრძელი დანა, სანთელი, ასანთი, მრავალნაირი გასაღები, ერთი ბოთლი არაყი, პური, ხორცი, ყველი და სხვ.

მერე მოვიდნენ ანტონ მელქაძე და თევდორე ბალანჩივაძე. მაგრამ, უკაცრავათ, ტარასის ეს არ ახსოვს.

— მე რა ვიცი, ვინ მიმცა ბლაჟში, სთქვა ტარასიმ. მახსოვს მარტო, რაფერ შემეშინდა, ჰახრ აკით რომ ასწიეს ყუთი პარახოდზედ და შიდ ჩამიშვეს. მერე ამოვედი ყუთიდგან და დავდგი კაი ალაგას, რომ გზაში ზედ სხვა ქვირთი არ დაეწყოთ.

ოდესიდგან დაწყობილი ნოვოროსისკამდე ტარასიმ დაალო სხვის ყუთები და ჩაალაგა კალათებში: ტანთ საცმელი, წაღები, საცვალი და სხვა, რაც-კი მოეწონა.

მაგრამ ნოვოროსისკის ახლო ტარასის ბედმა უმტყუვნა. გემის მოსამსახურე შუტენკო რიღაცისთვის ჩავიდა ძირს, სადაც ტარასის ყუთი იდგა და... საბრალო ტარასის სწორედ ამ დროს ცხვირს არ დააცემინა!

მოვიდნენ გემის მოხელენი და ტარასი გაბაწრეს. ტარასიმ თავის ამხანაგები მელქაძე და ბალანჩივაძეც გასცა და სამთავენი სასამართლოში მისცეს.

— ეს სულ იმ „ალი-ოსმანას“ ბრალიაო,ამბობდა ოლქის სასამართლოში ტარასი,—იმ თანთარმა მომატყუა, თვარა მე რაფერ ვიზამდი მაგასაო...

ოლქის სასამართლომ, 17 ამა ნოემბერს, სამთავე ბრალდებულს გადუწყვიტა ყოველ გვარ უფლებათა ჩამორთმევა და ციმბირის შორეულ ადგილებში გადასახლება. („ნოვ. ობოზრ.“).

—

ძმის მოკვლა. ტფილისის მაზრის სოფელ ვაშლოვანში შემოდგომაზედ სოლომონ აბულაშვილმა მოჰკლა თავისი ძმა მიხეილი. საქმე ასე იყო. ძმები ჰვავს იყოფდნენ, მოუვიდათ ჩხუბი, სოლომონმა ძმას თავში დაჰკრა, მიხეილმაც თავის მხრივ შემოჰკრა და გაიქცა. სოლომონი დაეწია და დანით დასჭრა რამდენსამე ალაგას. მიხეილი გარდაიცვალა.

ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია 22 ნოემბერს და გადაუწყვიტა ყველა უფლების ჩამორთმევა და პატიმართა როტაში გაგზავნა $3^1/_2$ წლით.

---

## ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ბათომის სახელოსნო სასწავლებლის კანცელარიაში 30 ამა ნოემბერს, 12 საათზედ, დანიშნულა ვაჭრობა ამ სასწავლებლისათვის საჭირო ნივთების იჯარის ასაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე იმავე სასწავლებლის კანცელარიაში დილის 8 საათიდან 12 საათამდე, 4 საათიდან 6 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

—

გორის სამაზრო მმართველობა აცხადებს, რომ 8 დეკემბერს, 12 საათზედ, ხაშურში დანიშნულია ვაჭრობა ხაშურში მყოფ ჯარისათვის პურისა, ხორცისა და სხვა სანოვაგის იჯარის გასაცემად.

---

## პეტერბურგის ბირჟა

### კურსები დ ფონდები.

პეტერბურგი, 22 ნოემბერი 1896 წ.

| | |
|---|---|
| ვექსელ. კურსი 3 თვით: | |
| ლონდონისა 10 გირ. სტ—ში | 93,45 |
| ბერლინისა 100 მარკაში . . | 45,75 |
| პარიზისა 100 ფრანკში . . | $37{,}22^1/_2$ |
| მდგომარეობა ვექს. კურსისა | მშვიდია |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . . . . | 7,50 |
| ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.) | 149 |
| ბირჟის დისკონტი . . . . . | 6—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . | $99^1/_4$ |
| 4% შინაგანი სესხი 1 სერიისა | $98^7/_8$ |
| $4^1/_2$% „ „ 1893 წლ. | $101^3/_8$ |
| $4^1/_2$% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. სააღ.-მამულო ბანკისა . . | $101^1/_8$ |
| 4% „ „ „ „ „ | $97^1/_2$ |
| $4^1/_2$% მოწმ.საკრ.საად.-მამ. ბ. | 101 |
| 5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ. . . . . . . | 294 |
| 5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ. . . . . | $254^1/_2$ |
| 5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ. | $212^1/_2$ |
| „ ოქროს რენტა 1884 წ. | — |
| $4^1/_2$ გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად. | $154^3/_4$ |
| 5% სახელ. რკინ. გზ. რენტა | $100^1/_4$ |
| $4^1/_2$ კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ. . . . . . . . . | $101^1/_8$ |
| „ „ 2 გამ. 1892 წლ. . | $101^1/_8$ |
| 4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ. | $152^3/_4$ |
| 4% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ. . . . . . . | $101^1/_4$ |
| „ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ. | 101 |
| „ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ. | 101 |
| 4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ. | 97 |
| $4^1/_2$% სესხი ქ. პეტერბურგ. | 98 |
| $4^1/_2$ „ „ ქ. ოდესისა . . | $93^3/_4$ |
| 5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ. | 101 |
| $4^1/_2$% „ „ „ „ | $98^1/_8$ |
| 5% . . . . მოსკოვისა . . . | $100^7/_8$ |
| $5^1/_2$% ობ. ოდეს. საკრ. საზ. | $100^5/_8$ |
| 5% „ „ . . . . . . | $99^5/_8$ |
| 5% ტფილისის . . . . . . | 98 |
| $5^1/_2$% გირავნ. ფურც. ხერს. საად. მამულო ბანკისა . . | $100^5/_8$ |
| 5% „ „ „ „ | $100^3/_8$ |
| $4^1/_2$% „ „ „ | $94^3/_8$ |
| 5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ. . . . . . | $100^1/_4$ |
| $4^1/_2$% „ „ „ | 94 |
| 5% ვილენის . . . . . . | $100^1/_2$ |
| „ დონისა . . . . . . . | 100 |
| „ კიევისა . . . . . . . | 101 |
| $4^1/_2$% „ . . . . . . | 95 |
| 5% მოსკოვისა . . . . . | $100^3/_4$ |
| „ ნიჟ-სამარისა . . . . | $100^1/_2$ |
| „ პოლტავისა . . . . . | $100^5/_8$ |
| $4^1/_2$% „ „ . . . . . | $95^1/_4$ |
| 5% ტულისა . . . . . . | $100^3/_4$ |
| „ ხარკოვისა . . . . | $101^1/_8$ |
| $4^1/_2$% „ . . . . . . | $95^1/_4$ |
| 6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ | $98^7/_8$ |
| 6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ „ | $98^7/_8$ |
| აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ. | 539 |
| „ პეტ. უჩოტ. და სესხ. | 735 |
| „ პეტ. ერთა-შორებრივ. | $653^1/_2$ |
| „ რუსეთის შინაგ. ვაჭ. . | 487 |
| „ ვოლგა-კამას კომერ. . | 1315 |
| „ პეტერბ.-მოსკოვის კომ. | 425 |
| „ პეტ.-აზოვის კომ. . . | 423 |
| „ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან. | 375 |
| „ აზოვი დონის კომ. ბან. | 640 |
| „ ვარშავ. კომერ. . . | 506 |
| „ მოსკოვ. საერთაშ. ბან. | 462 |
| „ ციმბირისა . . . . | 710 |
| „ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ. | 635 |
| „ ვილენისა . . . . | 620 |
| „ დონისა . . . . . | 710 |
| „ კიევისა . . . . . | 770 |
| „ მოსკოვისა . . . . | 735 |
| „ ნიჟეგოროდ. და სამარის | 690 |
| „ პოლტავისა . . . . | 613 |
| „ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ. | 403 |
| „ ხარკოვის საად.-მ. ბან. | 485 |
| „ პეტერბ. განათ. საზოგ. | 138 |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. . . . . | 10,350 |
| აქციები „ „ „ | 522 |
| „ პუტილ. ქარხნის საზოგ. | $117^1/_2$ |
| „ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. . . . . | 514 |
| აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“ | $235^1/_2$ |
| „ რუს. და ბელგ. მეტალ. | 280 |
| „ მალცევის ქარხნებისა | 608 |
| „ რუს. ოქრ. საზოგად. | $296^1/_2$ |
| „ რუს. დამზ. საზ. 1827 წ. | 1540 |
| „ „ „ „ 1835 წ. | 340 |
| „ დამზ.საზ. „სალამანდრა“ | 500 |
| „ პეტერ. დამზღ. საზოგ. | 450 |
| „ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. | 820 |
| „ დამზღ. საზ. „როსსია“ | 378 |
| „ საზ. „რუსს. ლლოიდ“ | 1000 |
| „ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. . | 126 |
| „ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა“ . . . . | 215 |
| „ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო . . . | 590 |
| „ საზ. „კავკაზ დ მერკურ“ | 434 |
| „ ნავოსნ. დნეპრზე . . | 95 |
| „ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. | 480 |
| „ კიევი-ვორონეჟ. . . | 448 |
| „ რიბინსკისა . . . . | 172 |
| „ სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ. | $184^3/_4$ |

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მკვიდრია.

---



## განცხადებანი

ტფილისის მეორე საქალებო ას კვირაო სკოლაში, რომელიც იმყოფება ჩუღურეთში, პანასევიჩის ქუჩაზედ, სამოქალაქო სკოლის სადგომში, სწავლის მსურველნი მიიღებიან. ყოველ კვირა დღეს. სწავლა უფასოა. იწყება დილის 12 საათზე.

(5—4 უ.)

---

მასწავლებელი

**მიხეილ ნასიძე**

ამზადებს მოწაფეებს ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში შესასვლელად. მოწაფეს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამოქალაქო სასწავლებელი.

**ადრესი: ქ. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, სახლი ანდერსონისა, № 149.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია